ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით: ა) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი; ბ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;		

	<p>გ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000-მდე მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით. ქვეპროგრამის მიზანია გამოიკვეთოს, დადგინდეს და განხორციელდეს ის პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელთა მოგვარება და გადაჭრა მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობისთვის, გაიზარდოს მოსახლეობის აქტიურობა და სხვ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაზრდილია მოსახლეობის აქტიურობა;</p> <p>მოსახლეობის აზრი გათვალისწინებულია საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>დაფინანსებული და განხორციელებულია პროექტები, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა, და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08 02		260,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხის სასაფლაოების მოწყობა, გამწვანება, შემოღობვა, გასასვლელებისა და სავალი გზების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N8 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესი“-ს შესაბამისად დადგენილი საფლავის საფასურისა და სარიტუალო საქმიანობასთან (სასაფლაოების დახურვა, ახალი სასაფლაოს გახსნა) დაკავშირებული შემოსავლების ადმინისტრირება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე არსებულ 7 სასაფლაოზე, რომლის ფართობია 283 366 კვ.მ, გასასვლელები, სავალი გზები იყოს მოწესრიგებული, მიმდინარეობდეს ინფრასტრუქტურის განახლება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სხვ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>არსებული სასაფლაოები შემოღობილი, გამწვანებული და მოწესრიგებულია, გასასვლელები და გზები კეთილმოწყობილია, ხორციელდება სასაფლაოების აღრიცხვა, დაურეგისტრირებელი სასაფლაოების საკადასტრო ნახაზების მომზადება-აღიციხვა და სხვ.</p>		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 870,0 ათასი ლარი. დასუფთავების და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 870,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	70,0
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	3 800,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		70,0
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე ურნების და სპეცტექნიკის შექმნა. ქვეპროგრამის მიზანია დასუფთავების ღონისძიების განხორციელებისთვის ხელშეწყობა და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისი ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		3 800,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის დასუფთავება, მოვლა-პატრონობა, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ასევე პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, ვასტრაცია და სტერილიზაცია.</p> <p>ისეთი ხარჯები, როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 12 ნაგავშიდი სატრანსპორტო საშუალება. ქუჩების გადასარეცხად და მწვანე ნარგავების მოსარწყავად, ქუჩების გასაწმენდად და მტვრის ასარებად ორგანიზაცია იყენებს სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური სერვისების ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი და მოწესრიგებული გარემოს შექმნა და სხვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო, დასუფთავების მუნიციპალური სერვისი ფუნქციონირებს ხარისხიანად და სხვა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9 862,2 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------

04 00	განათლება	9 862,2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	7 950,0
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	7 950,0
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 867,7
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	332,7
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1 535,0
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	44,5

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 01		7 950,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვამი არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გაყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1740 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 476 თანამშრომელი - აღმზრდელი (მათ შორის კაცი 0%), სხვა პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი (მათ შორის კაცი 5%). "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების" პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა და სხვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1870-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 95%-ს შეადგენს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი</p>		

	თანაბარხელმისაწვდომი სააღმშრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა და სხვ
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02 01		332,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯები, ასევე მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები. ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმშრდელო პროცესის ხელშეწყობა და აღსაზრდელთათვის და პერსონალისთვის საუკეთესო პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვენტარის განახლება და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების განათლების დონის ამაღლება და სხვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02 02		1 535,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაცია და აღდგენა, ასევე მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასკოლო ტრანსპორტით. ქვეპროგრამის მიზანია საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პედაგოგებისთვის ეფექტური მუშაობისთვის ხელშეწყობა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო ასაკის მოზარდები განათლებას იღებენ კომფორტულ გარემოში, სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის და ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით პედაგოგებისთვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები და სხვ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		44,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა, წახალისება, მოტივაციის ამაღლება და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული და მოტივირებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 13 634,1 ათასი ლარი. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	13 634,1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	6 595,3
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	710,0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	3 435,3
05 01 05	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	2 450,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	6 717,8
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	820,0
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	750,0
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა	270,0
05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	0,0
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	260,5
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	4 217,3
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	400,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	146,0
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	146,0
05 04	თეატრები	125,0
05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	50,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		6 595,3
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, სპორტული პროგრამების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზებას (შესაბამისი სამსახურების მიერ), სპორტული ოლიმპიადების, სპორტის კვირეულების და სხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას, სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, დაინტერესებას და სხვ.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრების მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, მოზარდების ჩართვა სპორტის სახეობებში, პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია დაიცვას თანასწორობა და თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც ვაჟების, ასევე გოგონების დაინტერესებას და მოზიდვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, განავითაროს სპორტული ინფრასტრუქტურა, რათა გაიზარდოს როგორც ახალგაზრდების, ასევე ნებისმიერი ასაკის მოსახლეობის დაინტერესება სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესით, და სხვ.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაზრდილია რეაბილიტირებული და ახლად მოწყობილი სპორტული მოედნების რაოდენობა; სპორტული ინფრასტრუქტურა განახლებული, მოწესრიგებული და გაუმჯობესებულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ასაკის, შესაძლებლობის და დაინტერესების მქონე მოქალაქისთვის, გაზრდილია ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა, გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონე, გაზრდილია ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესება, და სხვ.
---------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		710,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, სპორტული პროგრამების განყოფილება
---------------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოვება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები და სხვა ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში და სხვ.</p>
--------------------------------------	--

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და მასში ახალგაზრდების მასიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. მეტი ახალგაზრდა და წარმატებული სპორტსმენი და სხვ.
---------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		3 435,3

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
---	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში 2026 წელს იგეგმება მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტის - სპორტკომპლექსის მშენებლობის დასრულება ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩაზე, პროექტის ღირებულება - 4 500,00 ათასი ლარი.</p>
--------------------------------------	---

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.
---------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კომპლექსური სასპორტო ღონისძიებების განვითარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		2 450,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული გაერთიანება მოიცავს 9 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი, სპორტული გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი „სამცხე“, ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, ფიტნეს კლუბი. სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 476 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ, სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 81 თანამშრომელი, მათ შორის მწვრთნელი - 41, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - 40, არასამტატო თანამშრომელი - 27.</p> <p>სპორტული გაერთიანების სპორტსმენები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და საქართველოს პირველობასა და საერთაშორისო შეჯიბრებებში. 2024 წელს გაერთიანების სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს ოქროს 49, ვერცხლის 38 და ბრინჯაოს 52 მედალი.</p> <p>სპორტული გაერთიანება მიზნად ისახავს სისტემატურად იზრუნოს სპორტული მოედნის, ბილიკებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე,</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია დაიცვას გენდერული თანასწორობა და თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც ვაჟების, ასევე გოგონების დაინტერესებას, ხელშეწყობას და მოზიდვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, ქვეპროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა, განვითარება, ოლიმპიურ, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიების მოპოვება და სხვ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების გაზრდილი რაოდენობა. მეტი წარმატებული სპორტსმენი, გაუმჯობესებული და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარითა და ფორმებით აღჭურვილი სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		820,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ფოლკლორული ანსამბლი - „მესხეთი“.</p> <p>კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები: ქართული ცეკვის, სამეჯლისო და ფოლკლორული. ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 700 აღსაზრდელი, ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც ქვეყნის შიგნით დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში.</p> <p>სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ფარდაგ-ხალიჩების ქსოვას და მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3 000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 140 150 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 18 800 მოსახლე (გაცემული წიგნების რაოდენობის მიხედვით) 2025 წლისათვის 12 000 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად).</p> <p>13 ახალგაზრდული ცენტრის მიზანია ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებით, რათა არ მოხდეს ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს კულტურულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და შექმნილი უნარ-ჩვევების გამოყენებას სოფლის სასარგებლოდ. ახალგაზრდულ ცენტრებში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც ეხმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ახალგაზრდულ ცენტრებში. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და სხვ.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები. კულტურის სახლები, ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს, კულტურის გაერთიანება უზრუნველყოფს მასში შემავალი ობიექტების სამუშაო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებას და ახალგაზრდების წახალისებას (განსაკუთრებით სოფლად), გაზრდილია ინფორმაციის მიწოდება და ჩართულობა სხვადასხვა შემეცნებითი საკითხების ირგვლივ და სხვ.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		750,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას 2024-2025 სასწავლო წელს იღებს სულ 481 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 49 პედაგოგი და 18 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 5 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო, ჩასაბერი ინსტრუმენტების (ფლეიტა), დასარტყამი ინსტრუმენტების და საორკესტრო. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას. ქვეპროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. სამუსიკო სკოლების პედაგოგები ვერ სარგებლობენ „პედაგოგის სტატუსით“, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ განხორციელებული პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სპეციალური პროგრამებით, როგორცაა: პედაგოგთა ჯანმრთელობის დაზღვევა, დანამატი მაღალმთიან დასახლებაში დასაქმებული პედაგოგებისთვის, პედაგოგთა სერტიფიცირების შედეგად ხელფასის ზრდა და სხვ. ამდენად, სასურველია პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება,</p>		

	<p>რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება. სამუსიკო სკოლებში სწავლა უფასოა, სკოლა სრულად ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისთვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონსკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში და სხვა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		270,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალციხის სამხატვრო სკოლაში იხსნა ხელოვნების შემდეგი მიმართულებები: ხატვა, ფერწერა, მოდელირება, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება, ტრადიციული ხალხური ფარდაგების და თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა. სკოლა წარმატებულია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მიღებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 19 თანამშრომელი, აქედან: 11 პედაგოგი და 8 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს ირიცხებოდა 361 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი იზრდება ყოველწლიურად. სკოლის ბიუჯეტი შეადგენს 190 800 ლარს. 2026 წელს მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 380 მოსწავლის ოდენობით და ბიუჯეტი იზრდება 270 000,00 ლარამდე.</p> <p>მომავალი თაობების აღზრდაში, ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია მომავალი თაობების კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. ქვეპროგრამის მიზანია სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სამუშაო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება, შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>დაწესებულებს სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებულია, ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირების მაქსიმალური ხელშეწყობა, სამუშაო ჯგუფების მუშაობა გაუმჯობესებული, დახვეწილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულია. აქტიურად ხორციელდება შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია და სხვა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ როგორც ტურისტული ობიექტის განვითარებისა და მოვლა - პატრონობის პროგრამა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		0,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის ციხე		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ "ახალციხის ციხე" გახსნის დღიდან ყოველწლიურად ტურისტების მზარდ ნაკადს მასპინძლობს, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ობიექტის სწორი პოზიციონირებით ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაზრდაა შესაძლებელი. ა(ა)იპ "ახალციხის ციხეს" აქვს პოტენციალი კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს მუნიციპალიტეტის შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდაში. რეკლამირება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, სწორად</p>		

	<p>დაგეგმილი ინფო-ტურები და მოწვეულ ტურისტული სააგენტოებისათვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება მნიშვნელოვნად გაზრდის "ახალციხის ციხის" და ზოგადად ქალაქის მიმართ დაინტერესებას, რაც პირდაპირ იმოქმედებს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სწორი განვითარებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაცემების სწორი ინტერპრეტირება, ხარისხიანი საცნობარი-საპრომოციო მასალის დროული მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება.</p> <p>ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომპლექსის ინფრასტრუქტურული განვითარების უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს 13 წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში არსებული შენობა-ნაგებობების საჭიროების შემთხვევაში დროულ და ხარისხიან სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას, არსებული ინფრასტრუქტურის შშმ პირებისთვის ადაპტირებასა და სხვა ღონისძიებების გატარებას. 8 ჰექტრამდე ტერიტორიის მოვლა პატრონობას - მწვანე საფარის ზოლის განახლებასა და გამრავალფეროვნებას, არსებული მრავალწლოვანი ნარგავების მოვლას, ტერიტორიის დასუფთავებას. კომპლექსის ვიზიტორების კმაყოფილებას ასევე განსაზღვრავს როგორც ციხის ტერიტორიაზე, ასევე ქალაქ ახალციხის მასშტაბით არსებული (სწრაფი) კვების ობიექტების, სუვენირების მაღაზიების, სასტუმროების, ბარების, კაფეების, რესტორნებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართულობა და ხელმისაწვდომობა. კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ზრუნავს და აახლებს საინფორმაციო ბაზას მუნიციპალიტეტის და ქალაქის სასტუმროების ფასების, ადგილების რაოდენობისა და სპეციალური შეთავაზებების შესახებ. ადგილზე ასევე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოძრავი საჯარო ტრანსპორტის გრაფიკისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება ქალაქების და მიმართულებების მიხედვით, თავის მხრივ ა(ა)იპ ახალციხის ციხის ადმინისტრაცია ცდილობს ფართების ერთჯერადად გაიჯარებისას (ღონისძიებები, საკონფერენციო დარბაზი) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ციხის ფუნქციურ მრავალფეროვნებას და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>წარმატებით ხორციელდება ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ წარმოქმნა/პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დასუფთავება და გამწვანება. ინფრასტრუქტურულად გამართული ა(ა)იპ "ახალციხის ციხის" მიერ მაღალკვალიფიციური კადრებით ვიზიტორებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება და სხვა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>05 02 07</p>		<p>260,5</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მინიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ხელშეწყობას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების და სხვა პრობლემური ქცევების პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციულ ხელშეწყობას;</p> <p>ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საზოგადოებაში ჩართულობის და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდის მიზნით დაგეგმილი აქტივობებს;</p> <p>ქალთა და გოგონათა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით აქტივობების ორგანიზებასა და წახალისებას. შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარებისა და გააქტიურების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობების უზრუნველყოფას, აგრეთვე სხვა ღონისძიებებს, და სხვა.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა მათი შემოქმედების წარმოჩენის გზით. და სხვ.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 08		4 217,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში კულტურული ცხოვრების ღონის ამაღლების ხელშეწყობა, ხელოვნების პოპულარიზაცია და სხვ.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში 2026 წელს იგეგმება ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება:</p> <p>ქალაქ ახალციხეში სამუსიკო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა - 2 000 ,00 ათასი ლარი;</p> <p>ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის N124-ში კულტურის სახლის მშენებლობა - 2 500 ,00 ათასი ლარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე გაუმჯობესებულია და სხვ.		

ვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 09		400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიების და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კულტურული ძეგლების და რელიგიური ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახის შენარჩუნება, მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურიზმის ხელშეწყობა და სხვ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახე შენარჩუნებულია, გაზრდილია ტურისტული პოტენციალი, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა და სხვ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 03 01		146,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მრავალფეროვანი და გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვა/განხორციელებას.</p> <p>პროგრამების დაგეგმვამდე სამსახური იკვლევს ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებს და ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული პროგრამები იყოს გრძელვადიანი და შედეგებზე ორიენტირებული, სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და წარმოადგენს გრძელვადიან დოკუმენტს. სტრატეგია მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობების შექმნას, ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერას;</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მოხდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინება, შემუშავდეს შესაბამისი მიდგომები და პროგრამები ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და პოპულარიზაციას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე,</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა.</p> <p>შესწავლილი და გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები; პროფესიონალების მიერ შემუშავებულია შესაბამისი მიდგომები და პროგრამები. გაუმჯობესებულია ახალგაზრდების მდგომარეობა. ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე მნიშვნელოვნად ამაღლებულია, პროექტები განხორციელებულია თვისობრივად და ხარისხობრივად მაღალორგანიზებულად და სხვ.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	თეატრები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		125,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ფინანსურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამის მიზანია ხელოვნების პოპულარიზაცია, რეგიონში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მოქალაქეების მხრიდან ხელოვნების მიმართ დაინტერესება და სხვ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	2026 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 05		50,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა ექვსივე მუნიციპალიტეტმა (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) დააფუძნა სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ორგანიზაცია წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მისი არსებობა დამოუკიდებელია მისი წევრებისგან. სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს სფეროში ჩართულ სხვადასხვა დანიშნულებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას რეგიონში.</p> <p>ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზაციასკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორებსა და თვითონ ორგანიზაციის წევრებს შორის. აქტივობები განხორციელდება სტრატეგიის შემუშავებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით.</p> <p>ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, როგორც ორგანიზაციის წევრების, ასევე ზოგადად, რეგიონში ტურიზმის სექტორის საკეთილდღეოდ; წაახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისთვის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად. ხელს შეუწყობს რეგიონში მოქმედი ბიზნეს-კომპანიების ხარისხის განვითარებას და რეგიონის იმიჯის შექმნას, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად და სხვ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	რეგიონის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა, ტურიზმის სფეროში ჩართული მხარეების (სთეიქჰოლდერების) კოორდინაცია და სამცხე-ჯავახეთის, როგორც დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და სხვ.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 911,4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში	2026 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		2 911,4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა		0,0
06 01 02	ამბულატორიების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა		0,0
06 02	სოციალური დაცვა		2 911,4
06 02 01	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება		4,3
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება		348,0
06 02 03	ომის მონაწილე შშმ პირების და ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება		22,0
06 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი		400,0
06 02 05	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება		25,0
06 02 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება		406,0
06 02 07	95 წელს გადაცილებულ უზუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება		45,0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2026 წლის გეგმა
06 02 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	100,0
06 02 10	მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	25,0
06 02 11	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	1 536,2

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		4,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს დევნილთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ (მიმდინარე საანგარიშო წელს) გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფებისათვის შემსუბუქებულია სოციალური მდგომარეობა და სხვ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		348,0
